ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №148419

ნომერი: AR144106

თარიღი : 26.04.2012

გაცემის თარიღი : 03.05.2012

გაცნობის თარიღი : 03.05.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რუსლან გერგედავა პ/ნ 62004000120
- სოხუმი ა.წერეთლის ქ. N 22 ბ. 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთლი დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
ობიექტი მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე, ქალაქის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ადგილას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, ტერიტორიაზე მსუბუქი კონსტრუქციის მოწყობა შესაძლებელია მხოლოდ დროებითი სტატუსით და იმ პირობის გათვალისწინებით, რომ აღქმადი არ იქნება ქუჩიდან მხრიდან.

აქვე გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

1.".მოთხოვნის შინაარსის ტექსტში" მიუთითეთ გასხახორციელებელი სამუშაოების არსი და დაფიქსირდეს შენობის ფუნქცია,
2. „არსებული სიტუაციის ფოტოსურათები“–ს ველში დამატებით აიტვირთოს ქუჩის მხრიდან რამოდენიმე რაკურსიდან გადაღებული სურათები
3. "ფოტომონტაჟი"–ს ველში დამატებით აიტვირთოს ქუჩის მხრიდან გადაღებულ ფოტოსურათებზე დამუშავებული ახალი ფოტომონტაჟები.
4. წარმოსადგენია მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შპს "კომბინატი 13"–ის მიერ გაცემული თანხმობა შენობა–ნაგებობის განთავსებასთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლებელია აიტვირთოს "ფაილის მიმაგრების ველში" (თქვენს მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებით შენობა–ნაგებობის განთავსება გათვალისწინებული არ არის).

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.